სერიული წარმოების პროდუქტის სერტიფიცირების სქემა- №3

გამოიყენება სერიული წარმოების პროდუქტისათვის, რომლის სტაბილურობა მისი სერიული წარმოების დროს ეჭვს არ იწვევს. წარმოების მდგომარეობის ანალიზი პროდუქტის გამოშვებისას უნდა ჩატარდეს როგორც სერტიფიკაციის საგამოცდო ლაბორატორიის, ასევე ქარხნის ლაბორატორიის მეთვალყურეობით პროდუქტის წარმოების დაწყებიდან პროდუქტის გამოშვებამდე.

კონკრეტულად სქემა 3 მოიცავს: წარმოების მდგომარეობის ანალიზს, წარმოებული პროდუქტის ნიმუშის აღებას, შესაბამის ლაბორატორიულ გამოცდას და ზედამხედველობას წარმოების პროცესზე.

სერტიფიცირების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- <u>განაცხადის მიღება .</u> როგორც ხარისხის სახელმძღვანელოს 7.2 თავში იყო განსაზღვრული სერტიფიცირების პროცესი იწყება მიმწოდებლის/მწარმოებლის მიერ ორგანოში ნებაყოფლობით სერტიფიკაციაზე განაცხადის (**EX-PR(CB)-05-G-01** დანართი 1) და მასზე დართული მასალების წარდგენით .

- <u>განაცხადის განხილვა</u> ხდება სერტიფიკაციის ორგანოს მიერ მისი მიღებისთანავე; იგი რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში. სერტიფიკაციის ორგანო განაცხადს განიხილავს რათა დარწმუნდეს: რომ მიღებული ინფორმაცია საკმარისია სერტიფიკაციის პროცესის ჩასატარებლად, სერტიფიკაციის სფერო განსაზღვრულია. ხდება გადაწყვეტილების მიღება და ექსპერტის გამოყოფა.

<u>- ხელშეკრულება.</u> სერტიფიკაციის ორგანო ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარებაზე დამკვეთთან/განმცხადებელთან აფორმებს ხელშეკრულებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის, სერტიფიკაციის სქემის შერჩევას, ანაზღაურების პირობებს, **EX-PR(CB)-06G-01** დანართი 1; ზედამხედველობის ჩატარების პერიოდულობას და აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიის შერჩევას. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სერტიფიკაციის ორგანოში, მეორე განმცხადებელთან. ხელშეკრულება ძალაში შედის ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ.

- <u>შეფასებისთვის მომზადების პროცედურა.</u> სერტიფიკაციის პროცესის ჩასატარებლად სერტიფიკაციის ორგანო უპირველეს ყოვლისა წინასწარ აფრთხილებს საწარმოს მოსალოდნელი შეფასების შესახებ.

- შემდგომ ეტაპზე შეფასების ჩასატარებლად სერტიფიკაციის ორგანო ნიშნავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალს ექსპრტ/აუდიტორს მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით.

- ყოველმხრივი და სწორი შეფასების ჩასატარებლად პროცესში მონაწილე პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამუშაო დოკუმენტაციით. ოგანო ექსპერტან ერთად ამზადებს საშემფასებლო საქმიანობის გეგმას, რათა არეგულიროს ყველა საჭირო ოპერაციის შესრულება; ექსპერტ/აუდიტორს აქვს
<u>სერიული</u> <u>წარმოების</u> <u>პროდუქტის</u> <u>სერტიფიცირების</u> <u>ჩატარების პროგამა,</u> წარმოების მდგომარეობის შეფასების კითხვარი **EX-PL(CB)-02G-01;**

ექსპერტი ან შეფასების ჯგუფი ადგენს რომ:

– განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სწორი და სრულია,
შეფასების ჯგუფი ახდენს დაკვირვებას წარმოების პროცესზე და წარმოების მდგომარეობის ანალიზს: ამოწმებს ტექნოლოგიური დოკუმენტაციის მდგომარეობას, საწარმოს ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ანალიზების ჩანაწერებს, ამოწმებს ნედლეულს, აქვს თუ არა ორგანიზაციას საჭირო გამზომი საშუალებები და მოწყობილობა (მათ მეტროლოგიურ და ტექნიკურ მდგომარეობას), თანამშრომლები და შესაძლებლობები სერტიფიკაციის სქემით განსაზღვრული გამოცდების ჩასატარებლად; საწარმოს სანიტარულ მდგომარეობას, თანამშრომლების შრომის პირობებს. ინფორმაციას ხარისხის სისტემის არსებობის შესახებ და წარმოების შემოწმების აქტის გაფორმებას. წარმოების შეფასების ჩატარების შემდეგ კითხვარის მიხედვით (იხ. წარმოების მდგომარეობის შეფასების კითხვარი **EX-PL(CB)-02G-01)** კეთდება დასვნა - ჩანაწერი კითხვარში და მოწმდება დოკუმენტურად.
<u>-პროდუქტის ნიმუშის აღება.</u> ხელშეკრულების საფუძველზე ნიმუშის აღების პროცედურას სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტი ახორციელებს განმცხადებლის თანდასწრებით, შესაბამისი წესის (ნიმუშის აღების წესი) დაცვით და ნიმუშის აღების აქტის გაფორმებით.
- ნიმუშის აღების აქტის ფორმა მოცემულია **EX-PR(CB)-08G-01** დანართში 1. მას ხელს აწერს საწარმოს წარმომადგენელი და ექსპერტი. ექსპერტი იღებს საშუალო ნიმუშს პროდუქტზე გათვალისწინებული სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. საშუალო ნიმუშის აღება წარმოებს თითოელი პარტიიდან (ცისტერნა, ავზი, ყუთები, ცალკეული დაფასოებული პროდუქტი). აღებული ნიმუშები იყოფა სამ ნაწილად: ერთი ნიმუში ინახება განმცხადებელთან, ორი გადაეცემა ნიმუშის ამღებს, რომელთაგანაც ერთს გადასცემს საგამოცდო ლაბორატორიას საანალიზოდ, ხოლო ერთი კი ინახება სერტიფიკაციის ორგანოში.
პროდუქტის ხარისხის შეფასებაში უთანხმოების წარმოქმნის შემთხვევისათვის. აღებული ნიმუშები ილუქება, ეკვრება ეტიკეტი. არასწორად აღებული, შეფუთული და გაფორმებული ნიმუშები ლაბორატორიაში ანალიზისათვის არ მიიღება.
-ანალოგიურად ხდება ნიმუშის აღება ზედამხედველობისას.

- <u>**პროდუქტის ნიმუშის გადაცემა და გამოცდა**</u> . ხელშეკრულების თანახმად სერტიფიკაციო ორგანოს ექსპერტის მიერ ნიმუშის აღების წესის დაცვით აღებული საგამოცდო ნიმუში რეგისტრირდება ნიმუშების სარეგისტრაციო ჟურნალში და ენიჭება შესაბამისი ნომერი. ნომრის მინიჭების შემდგომ საგამოცდო ნიმუში გადაეცემა საგამოცდო ლაბორატორიას, კერძოდ ლაბორატორიის ხელმძღვანელს, სპეციალური ფორმით (იხ.ფორმა **EX-PR(CB)-09G-01,** დანართი 1 განაცხადთან ერთად (იხ. განაცხადის ფორმები **EX-PR(CB)-09G-01,** დანართი 2 და დანართი 3, ნიმუშის გადაცემის პროცესში სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელის მოადგილე ათანხმებს საგამოცდო ლაბორატორიის ხელმძღვანელთან საგამოცდო ნიმუშის გამოცდის მიმართულებას და მოცულობას.

<u>**გადაწყვეტილება.**</u> სერტიფიცირების პროცესის შემდგომი ეტაპი მოიცავს მიღებული შედეგების ანალიზს და შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შესაძლებლობაზე გადაწყვეტილების მიღებას; პროდუქტის გამოცდის შემდეგ, სერტიფიკაციის ორგანოში საგამოცდო ლაბორატორიიდან ანალიზის ოქმის დადებითი პასუხის მიღების (აგრეთვე დოკუმენტაციის სრულყოფის) შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება სერტიფიკატის გაცემის შესახებ (**EX-PR(CB)-10G-01** დანართი 1).

- <u>**სერტიფიკატის გაცემა**</u> . სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიკატის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ განმცხადებელზე გაიცემა შესაბამისობის სერტიფიკატი.

სერტიფიკატი შესრულებულია ბეჭდურ სპეციალური ფორმის ბლანკზე, რომელსაც ხელს აწერს სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელი. (იხ. **EX-PR(CB)-11G- 01** დანართი1,2,3).

შესაბამისობის სერტიფიკატი გაიცემა განმცხადებელთან ერთად შერჩეული სქემის მიხედვით, განმცხადებლის მიერ მითითებულ ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული) გაფორმებულ ბლანკზე (იხ. **EX-PR(CB)-11G-01** დანართები 1,2,3). შესაბამისობის სერტიფიკატი ადასტურებს, რომ პროდუქტი სათანადოდიდენტიფიცირებულია და შეესაბამება ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს - გოსტი, სანწდანი. ზოგიერთ პროდუქტზე (მაგ., თაფლი, თხილი) პრიორიტეტულია მათი ტექნიკური რეგლამენტები - საქართველოს მთავრობის დადგენილებები:
#185,#714; შესაბამისობის სერტიფიკატის ასლი ინახება სერტიფიკაციის ორგანოში 3 წლის განმავლობაში.

- <u>**ზედამხედველობა**</u> . სერიული წარმოების პროდუქტზე დამკვეთთან/ მომხმარებელთან შეთანხმებული წესით ხორციელდება ზედამხედველობა. ზედამხედველობის ჩატარების პერიოდულობა თანხმდება განმცხადებელთან ხელშეკრულების გაფორმების დროს. როდესაც პროდუქტის ვარგისიანობის ვადა არ აღემეტება 6 თვეს, ზედამხედველობა

ტარდება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ. თუ სერიული სერტიფიკატი გაცემულია 1 წლის ვადით, სერტიფიკაციის ორგანო ანხორციელებს ზედამხედველობას 6 თვეში ერთხელ. განმცხადებელთან შეთანხმებით შესაძლებელია ნიმუშის პერიოდულად (ყოველთვიურად) აღება და გამოცდა.

- **ზედამხედველობა კონკრეტულად მოიცავს:**
- ნიმუშის აღებას მწარმოებელთან და იდენტიფიცირებას;
- სერტიფიცირებულ პროდუქტზე გამოცდების ჩატარებას;
- ჩატარებული გამოცდების ოქმების შედეგების ანალიზს;
- წარმოების მდგომარეობის კონტროლს სანიტარული უზრუნველყოფის ჩათვლით;
- ზედამხედველობის აქტის გაფორმებას ზედამხედველობის შედეგების შესაბამისად.
- პროდუქტის ნებაყოფლობით სერტიფიკაციასთან და გეგმიური ზედამხედველობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ანაზღაურებს განმცხადებელი.
- გეგმიური ზედამხედველობის შედეგები ფორმდება ცალკე აქტის სახით, რომელსაც თან დაერთვის ნიმუშის აღების აქტი.

სერტიფიკაციის ორგანო დამკვეთის/მომხმარებლისგან ითხოვს, რომ მან აცნობოს ორგანოს ყველა იმ ცვლილების შესახებ რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სერტიფიკაციის სტანდარტებზე. მიღებული ინფორმაციის შემდეგ სერტიფიკაციის ორგანო ადგენს საჭიროებს თუ არა განცხადებული ცვლილებები დამატებით გამოკვლევას. სერტიფიკაციის ორგანოსგან გაფრთხილების შემთხვევაში მიმწოდებელმა არ უნდა გაუშვას სარეალიზაციოდ პროდუქტი, რომელზეც აღებული აქვს სერტიფიკატი მანამ, სანამ სერტიფიკაციის ორგანო არ დაადასტურებს, პროდუქტის შესაბამისობას და სათანადო ინფორმაციას არ მიაწვდის მიმწოდებელს.

სერტიფიკაციის ორგანო დოკუმენტურად აფორმებს ზედამხედველობის შედეგებს. მაშინ როცა სერტიფიკაციის ორგანო იძლევა მის მიერ შეფასებულ პროდუქტისათვის უფლებას თავისი ნიშნის მუდმივ გამოყენებაზე იგი

პერიოდულად ატარებს ნიშანდებული პროდუქტის შეფასებას, იმის დასადასტურებლად, რომ იგი კვლავაც შეესაბამება სტანდარტებს.

<u>- სერტიფიკაციის შეჩერება, გაუქმება, გაფართოება და შემცირება.</u>

შპს „ექსპერტიზა+"-ის სერტიფიკაციის ორგანოს შემუშავებული აქვს სერტიფიკაციის შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში ხარისხის მენეჯერი ორგანოს ხელმძღვანელთან ერთად აანალიზებს გამოვლენილი შეუსაბამობის მიზეზებს და იღებს გადაწყვეტილებას სერტიფიკაციის შეჩერების, ან გაუქმების შესახებ.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოვლენილია, დადგენილია და მიღებულია სათანადო მაკორექტირებელი ქმედებები შეუსაბამობების თაობაზე, სერტიფიკაციის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება დამკვეთს. სერტიფიკაციის შეჩერების, ან გაუქმების თაობაზე ფორმდება სათანადო აქტი (იხ. **EX-PR(CB)-14-G-01** დანართი 1).

დაუშვებელია სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიკაციის გაცემის , შენარჩუნების, გაგრძელების, შეჩერების, ან გაუქმების უფლებამოსილების გადაცემა გარეშე პირის ან ორგანოსათვის.

აღნიშნული სქემით პროდუქტის სერტიფიკაციის ჩატარების შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანომ აკრედიტაციის სფეროში უნდა გამოიყენოს შემდეგი ნორმატიული დოკუმენტაცია.
მაგალითად:

გოსტი 28188-2014- უალკოჰოლო სასმელები,

გოსტი 31711-2012 -სუსტალკოჰოლური სასმელები;

გოსტი 32573-2013 - ჩაი შავი;

გოსტი 32574-2013 - ჩაი ნწვანე;

გოსტი 17494 - დაფნის ფოთოლი;

ტექნიკური რეგლამენტები:

ტექ. რეგლამენტი -#714,26.12.2014; თაფლი ნატურალური;

გამოყენებული ლიტერატურა:

სსტ ისო/იეკ 17065:2012/2014 შესაბამისობის შეფასება-მოთხოვნები პროდუქტების, პროცესებისა და მომსახურების სერტიფიკაციის ორგანოების მიმართ.

სსტ ისო/იეკ 17067:2013/2014 - შესაბამისობის შეფასება - პროდუქტის სერტიფიცირების საფუძვლები და რეკომენდაციები პროდუქტის სერტიფიცირების სქემებისათვის.